გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის, ქალთა უფლებების დაცვისა და ოჯახში ძალადობის მიმართულებით სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები

(2016-2017 წლების სამოქმედო გეგმების მოკლე ანგარიში)

2016 წელს დამტკიცდა „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა“, „საქართველოს 2016-2017 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ განხორციელებისათვის“ სამოქმედო გეგმა და ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის თავი - გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერება.

სამოქმედო გეგმების შემუშავება მიმდინარეობდა დარგობრივი სამინისტროების, გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებებისა და სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობით. ფართო კონსულტაციების პროცესის შედეგად შემუშავებული სამოქმედო გეგმა გაცდა ოჯახში ძალადობის საკითხებს და გეგმით დაიფარა ქალთა მიმართ ძალადობის ისეთ ფორმებიც, როგორიცაა სექსუალური ძალადობა და ადრეული ქორწინება.

სამივე სამოქმედო გეგმების ეფექტიანი შესრულების უზრუნველსაყოფად განისაზღვრა ცალსახა ინდიკატორები, საბაზისო და სამიზნე ნიშნულები როგორც მიზნების, ისე ამოცანების დონეზე, ასევე გამოიყო ღონისძიების შესრულებაზე პასუხისმგებელი წამყვანი და დამხმარე უწყებები.

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის, ქალთა უფლებების დაცვისა და ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის მიმართულებით 2016-2017 წლის განმავლობაში არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა, როგორც აღმასრულებელ ისე საკანონმდებლო დონეზე.

აღმასრულებელ ხელისუფლებაში გენდერული თანასწორობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების მიზნით, 2017 წლის ივნისში მთავრობის დადგენილებით (#286) დამტკიცდა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის დებულება და პირველად აღმასრულებელ ხელისუფლებაში შეიქმნა გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე ინსტიტუციური მექანიზმი. უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარეა პრემიერ-მინისტრის თანაშემწე ადამიანის უფლებათა და გენდერული თანასწორობის საკითხებში, ხოლო თანათავმჯდომარეა იუსტიციის მინისტრის მოადგილე. კომისიის შემადგენლობაში შედიან სახელმწიფო უწყებების

წარმომადგენლები, ასევე საქართველოს სახალხო დამცველის, სსიპ-იურიდიული დახმარების სამსახურის, სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებლის, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმომადგენლები;
უწყებათაშორისი კომისია უფლებამოსილია: შეიმუშაოს და მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინოს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელებისათვის სამოქმედო გეგმები და აღნიშნული პოლიტიკის განვითარების ხელშემწყობი წინადადებები, ასევე თავისი მანდატის ფარგლებში განახორციელოს გეგმების შესრულების მონიტორინგი; ხელი შეუწყოს პასუხისმგებელ უწყებებს სქესის ნიშნით „სეგრეგირებული“ მონაცემების შეგროვებასა და ანალიზში; გარდა გენდერული თანასწორობისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის განვითარებისა, კომისიის მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს ე.წ სტამბოლის კონვენციის ეროვნული მონიტორინგის მექანიზმის ფუნქციების განხორციელება. უწყებათაშორისი კომისია, თავისი მანდატის ფარგლებში, გეგმავს ხელი შეუწყოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში გენდერული მეინსტრიმინგის და ეფექტიანი პოლიტიკის განხორციელებას.

2017წლის 5 აპრილს საქართველომ მოახდინა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) რატიფიცირება, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის პირველი სექტემბრიდან. სტამბოლის კონვენციასთან ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით,საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა იუსტიციის სამინისტრის მიერ შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებთა პაკეტი, რომელიც ითვალისწინებდა ცვლილებებს 24 საკანონმდებლო აქტში; ცვლილებები შევიდა „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლითაც გაფართოვდა აღნიშნული კანონის მოქმედების სფერო, და დღეს იგი უკვე მოიცავს ოჯახის ფარგლებს გარეთ, ქალთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასაც. ახალი რეგულაციებით, შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოყენება შესაძლებელია ქალის მიმართ ძალადობის ფაქტის გამოვლენის ყველა შემთხვევაში და პოლიციის მიერ გამოცემული შემაკავებელი ორდერის ძალაში შესვლისათვის აღარაა საჭირო მისი სასამართლოში წარდგენა. სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა ახალი დანაშაულები, როგორებიცაა:ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება, ადევნება და იძულებითი სტერილიზაცია.

2017 წლის ბოლოს, უწყებათაშორისმა კომისიამ შეიმუშავა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ერთიანი ეროვნული საკომუნიკაციო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. აღნიშნული დოკუმენტები ხელს შეუწყობს პასუხისმგებელ უწყებათა მიერ კოორდინირებულ და ეფექტიან მუშაობას და სახელმწიფოს ერთიანი

პოლიტიკის განხორციელებას ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციისათვის.

2016-2017 წლებში მიმდინარეობდა სისტემატიური შეხვედრები მოსახლეობასთან გენდერულ თანასწორობასთან, ადრეულ ასაკში ქორწინებასა და ძალადობის აღმოფხვრასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს პროკურატურის 2017-2021 წლების სტრატეგიით ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა. ამასთან, გამკაცრდა პოლიტიკა - გაიზარდა ბრალდებულთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელი; მინიმუმამდე იქნა დაყვანილი სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების (განრიდება) გამოყენების და საპროცესო შეთანხმების გაფორმების შემთხვევები;

შემუშავდა სახელმძღვანელო - "ქალთა უფლებების დაცვა და მათთვის სამართლებრივი მექანიზმების ხელმისაწვდომობა", რომელიც დაინერგა პროკურორთა გადამზადების მოდულში;

2017-2018წლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა ძალადობის მსხვერპლთათვის სერვისების გაუმჯობესების თვალსაზრისით. კერძოდ, გაუმჯობესდა ძალადობის მსხვერპლთა დახმარების უფასო საკონსულტაციო ცხელი ხაზის (116 006) ფუნქციონირება. ქართული ენის გარდა, კონსულტაციის მიღება უკვე შესაძლებელია დამატებით 7 - ენაზე (ინგლისურ, რუსულ, თურქულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, არაბულ და სპარსულ ენებზე).
სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი (სახელმწიფო ფონდი) ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებსა და სავარაუდო მსხვერპლებს სთავაზობს სხვადასხვა სახის მომსახურებებს. დღეს არსებული მდგომარეობით ხელმისაწვდომია ძალადობის 5 სახელმწიფო თავშესაფარი და 3 კრიზისული ცენტრი;
2017 წლის ივლისიდან ფონდის თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრის ფარგლებში უზრუნველყოფილია მომსახურებების მიწოდება სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის;
საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარდა არაერთი პროფესიული მომზადების ტრენინგი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჩატარებული ტრენინგების რაოდეობა წარმოადგენს ღონისძიების შესრულების რაოდენობრივ ინდიკატორს და ბუნებრივია, ვერ მოგვცემს ღონისძიებების შესრულების ხარისხობრივი შეფასების საშუალებას. სწორედ აღნიშნული გამოცდილების გათვალისწინებით მოხდა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმების ინდიკატორების დახვეწა და სამოქმედო გეგმებში მაქსიმალურად განისაზღვრა ხარისხობრივი ინდიკატორები.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უწყებათა მხრიდან აქტიურად იმართებოდა თემატური საინფორმაციო შეხვედრები მოსახლეობასთან, ასევე კამპანიები გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით. განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა სამართალდამცავი ორგანოებისათვის მიმართვიანობის მაჩვენებელი. 1

2017 წლის 20 აპრილის მთავრობის დადგენილებით #200 დამტკიცდა საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესები. ეთიკის კოდექსში განისაზღვრა სიძულვილის ენის აკრძალვისა და სექსუალური შევიწროების დაუშვებლობის შესაბამისი მარეგულირებელი ნორმები, სადაც დეტალურადაა განსაზღვრული როგორც შევიწროების დაუშვებლობის, ასევე გამოვლენისა და პრევენციის საკითხები.

ბიუჯეტის ფორმირების პროცესში გენდერული ასპექტების გათვალისწინების ნაწილში, ცესკომ 2016-2017 წლების ბიუჯეტის ფორმირების პროცესში გაითვალისწინა გენდერული ასპექტები და საგრანტო კონკურსების დაფინანსების ერთ-ერთ მიმართულებად განსაზღვრა ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა საარჩევნო პროცესში.

აღსანიშნავია ისიც, რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალისა და კაცის თანაბარი მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით 2016-2017 წლებში აქტიურად მუშაობდა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია, რომელთა მიერაც საანგარიშო პერიოდში გაიმართა არაერთი ტრენინგი და საინფორმაციო შეხვედრა, ასევე დამუშავდა სტატისტიკური ინფორმაცია გენდერულ ჭრილში.[2]

2016 წლის დასაწყისში პროკურორებისთვის შემუშავდა რეკომენდაცია „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის 31 ნაწილის, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების პრაქტიკაში გამოყენების თაობაზე“, ხოლო 2017 წელს აღნიშნული რეკომენდაციის პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენების

---

[1] **მათ შორის აღსანიშნავია: იუსტიციის სამინისტროს** საინფორმაციო კამპანია სლოგანით **„იმოქმედე“,** რომელიც 2017 წლის თებერვლიდან ნოემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა. კამპანიის ძირითად მიზანს წარმოადგენდა მოსახლეობის ინფორმირება და მათი გააქტიურება ძალადობის წინააღმდეგ; კამპანიის ფარგლებში, ამოქმედდა საიტი - http://imoqmede.ge/, რომელიც ძალადობის წინააღმდეგ კამპანიაში მოსახლეობის ჩართვას აადვილებს და **ანონიმური წერილის ფორმის** საშუალებით ძალადობის მსხვერპლსა თუ ძალადობის თვითმხილველს შესაძლებლობას აძლევს, პრობლემის შესახებ აცნობოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს. სოციალური კამპანიის ფარგლებში, იუსტიციის სასწავლო ცენტრში შემუშავებული სპეციალური სატრენინგო მოდულით უფასო **ტრენინგები** განხორციელდა საქართველოს მასშტაბით არსებულ იუსტიციის სახლებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში. ტრენინგები ჩაუტარდა 78 ჯგუფს, სულ 886 მონაწილეს; **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს** პროექტი "შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელშეწყობა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში," და სოციალურ კამპანია **"ძალადობას".** სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებთან ერთად, კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით პროექტის ფარგლებში პერიოდულად იმართებოდა შეხვედრები რეგიონებში სხვადასხვა სამთავრობო უწყებისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან; პროექტის ფარგლებში დამზადდა და ფუნქციონირებს საინფორმაციო რუკები, რომელთა ნახვა შესაძლებელია შსს-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე - http://police.ge/ge/projects/odjakhshi-dzaladoba ; **საქართველოს პროკურატურის** მიერ ორგანიზებული პროექტები - **"ადგილობრივი საბჭო"** და **"საზოგადოებრივი პროკურატურა",** რომელთა ფარგლებში ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახური დანაშაულის პრევენციისა და ცნობიერების ამაღლების კუთხით 2016-2017 წლებში ღონისძიებები ჩატარდა საქართველოს ყველა რეგიონში.„ადგილობრივი საბჭოს“ ფარგლებში ჩატარდა 26 შეხვედრა (748 მონაწილე); საზოგადოებრივი პროკურატურის“ ფარგლებში ჩატარდა 151 შეხვედრა (7600-მდე მონაწილე); **სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის** საინფორმაციო კამპანია სლოგანით **"აიხილე თვალები"** რომელიც 2017 წლის ნოემბრიდან დაიწყო და 2018 წელსაც გაგრძლედება. კამპანიის ძირითად მიზანს წამოადგენს მოსახლეობის ინფორმირება ძალადობისგან დაცვის ეროვნული ცხელი ხაზის (116-006) შესახებ. კამპანიის ფარგლებში ამოქმედდა საიტი- www.sheachere.ge, რომლის საშუალებითაც მომხმარებელი საკუთარი ქმდებით გამოცდის, თუ როგორ შეიძლება ძალადობის შეჩერება. ვებ კამერისა და თვალების მოძრაობის ამოცნობის ტექნოლოგიის გამოყენებით, საიტი აჩერებს ან აგრძელებს ოჯახში ძალადობის ამსახველ სცენას; კამპანიის ფარგლებში შეიქმნა ვიდეო რგოლები და გარე სარეკლამო მასალები;

[2] http://cesko.ge/statistic/

მიზნით, შეიქმნა სპეციალური კითხვარი, რომელშიც გაიწერა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესაძლო დაზარალებულის, ბრალდებულისა და მოწმის გამოკითხვის/დაკითხვის ინსტრუქცია. კითხვარი დაეგზავნა პროკურატურის სისტემის თანამშრომლებს, რის შედეგადაც სისხლის სამართლის საქმეებში გაიზარდა სიძულვილის მოტივის გამოკვეთის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებათა ხარისხი და ეფექტიანობა.

ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო გენდერული საკითხების გათვალისწინებას და ქალთა მონაწილეობას კონფლიქტების გადაჭრის, პრევენციისა და მართვის მიმართულებით.

განხორციელდა ანტიდისკრიმინაციული მიდგომების, გენდერული თანასწორობისა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების ტრენინგები და კამპანიები უსაფრთხოების სექტორის უწყებებში - თავდაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, უსაფრთხოების სამსახური;

ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის ფარგლებში (IPRM) გამართულ შეხვედრებში ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან მონაწილე ქალთა პროცენტული მაჩვენებელი გაიზარდა: 2015 წლის ბაზისი 33%, 2017 წელი- 37% -50%. შენარჩუნდა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში მონაწილე ქალთა პროცენტული მაჩვენებელი - 40 %.

ინფორმაციის გაცვლისა და ქალთა პრიორიტეტებისა და საჭიროებების სამშვიდობო მოლაპარაკებებში გათვალისწინების მიზნით, შექმნილია რეგულარული დიალოგის მექანიზმი ოფიციალურ მოლაპარაკებებში ჩართული სამთავრობო უწყებების წარმომადგენლების კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლების მონაწილეობით. რეგულარული დიალოგის მექანიზმის ფარგლებში გაჟღერებული ქალთა და ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების პრიორიტეტების/რეკომენდაციების 78% გათვალისწინებულია.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში შექმნილია და იწარმოება სახალხო დიპლომატიის ინიციატივების მონაცემთა ბაზა. სახალხო დიპლომატიის ინიციატივების ხელშეწყობის მიზნით თანხმობა გაიცა 124 პროექტზე. 2015 წელს მხარდაჭერილი სახალხო დიპლომატიის ინიციატივების 10 %,-იანი მაჩვენებელი 2017 წლისთვის გაზრდილია 21%-ით.

გენდერული მოდულის ინტეგრირება წარმატებით მიმდინარეობს როგორც სსიპ-ეროვნული თავდაცვის აკადემიის სასწავლო პროგრამებში, ასევე სამხედრო-

საკარიერო კურსების ფარგლებში. 2016-2017 წლებში გადასროლის წინა მომზადებაში მყოფ მისიაში გასაგზავნ 4000-მდე სამხედრო მოსამსახურეს (კულტურის, რელიგიისა და ტრადიციების ფასეულობების გათვალისწინებით) ჩაუტარდა სწავლება გენდერული თანასწორობის პრინციპებისა და გაეროს უშიშროების საბჭოს №1325, 1820, 1888, 1889 და 1960 რეზოლუციების შესახებ.

იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოებისათვის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის მიზნით იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს გამყოფი ხაზის მიმდებარე რეგიონებში მცხოვრები ქალებისა და გოგოებისათვის უფასო იურიდიული მომსახურებას. საანგარიშო პერიოდში უფასო იურიდიული კონსულტაცია და იურიდიული დახმარება გაეწია 2325 დევნილს (ქალი – 53%) საერთო კონსულტაციების და საქმეების 5%.

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში, 2016 წელს, გაეროს ქალთა ორგანიზაციის დახმარებით იმყოფებოდნენ იურისტები, რომლებიც უწევდნენ დახმარებას დევნილ მოსახლეობას და საჭიროების შემთხვევაში სასამართლოში იცავდნენ მათ ინეტერესებს. 2016 წელს იურიდიული კონსულტაცია გაეწია 3549 ბენეფიციარს (2246 ქალი-63.3 %, კაცი 1303 – 36.7%). დევნილებს აქვთ შესაძლებლობა, სამინისტროში ისარგებლონ იურიდიული კონსულტირებითა და სამართლებირივი დახმარებით.

განხორციელდა რიგი პროგრამები იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისათვის: პროფესიული განათლების, გადამზადებისა და მეწარმეობის განვითარების პროგრამები. აღსანიშნავია, რომ 2015 წელთან მიმართებაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში გაერთიანებულ დევნილ ქალთა რაოდენობა 88%-ით არის გაზრდილი;